

წინასწარი გამოძიების პროცესში გამოსაყენებელი ძირითადი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და სპეციალურ ცოდნათა გამოყენების ფორმები

შენგელი ფიცხელაური

ივ.ჯავახისვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი,
სისხლის სამართლისა და კრიმინალისტიკის კათედრა

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია თეორიული და გამოყენებითი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია წინასწარ გამოძიებაში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალური ცოდნის გამოყენების პირობებთან, კრიტერიუმებთან და სხვა გარემოებებთან. ამასთან ვიხილავთ სისხლის სამართლის საქმეზე შემეცნების გათვალისწინებულ წესებს, რომლებიც მიმართულია გამოძიებისათვის აუცილებელი მტკიცებულებითი ინფორმაციის ძიების, აღმოჩენის, დამაგრებისა და გამოკვლევისათვის.

ვთვლით, რომ სისხლის სამართლის წარმოებაში შეიძლება გამოვიყენოთ შემეცნებითი საქმიაობის ორი ფორმა, პროცესუალური და არაპროცესუალური. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ პირველ შემთხვევაში მეცნიერული მონაცემების გამოყენების მსვლელობაში შეიძლება დადგეს იურიდიულ მნიშვნელობის ძქონე გარკვეული შედეგი, ხოლო მეორეში-ასეთი შედეგის დადგომა შეუძლებელია.

საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ-მეცნიერებათა მონაცემების გამოყენების გამიჯვნა ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს მათი გამოყენების შედეგების მტკიცებულებითი მნიშვნელობით.

საკვანძო სიტყვები: სამართალწარმოება, წინასწარი გამოძიება, სპეციალური ცოდნა

სისხლის სამართალწარმოებაში საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მონაცემებისა და მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებების გამოყენების ფორმების საკითხის განხილვისას რეკომენდირებულია ვიხელმძღვანელოთ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად კანონით გათვალისწინებული იმ საშუალებებით, რომლებიც თავისთავად წარმოადგენენ იმ ხერხებისა და ოპერაციების სისტემას, რომლებიც განკუთვნილია მტკიცების პროცესში "ფაქტიური მონაცემების (ინფორმაციების) ძიების, აღმოჩენის, მიღების, დამაგრებისა და გამოკვლევისათვის".¹

სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების ხერხებისა და მეთოდების გამოყენების ფორმების განსაზღვრისას შემეცნების პროცესის გათვალისწინება იმით არის განპირობებული, რომ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის უზრუნველყოფა ხდება არა მარტო მტკიცების, როგორც შემეცნების კერძო შემთხვევის, მსვლელობისას, რასაც მკაცრად განსაზღვრული პროცესუალური ფორმა აქვს, არამედ აგრეთვე პირთა ფართო წრის მიერ სხვადასხვაგვარ მოქმედებათა ჩატარების გზითაც, რომელთა შედეგებს სისხლის სამართალწარმოების თვალსაზრისით მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. მნიშვნელოვანია აგრეთვე იმის მხედველობაში მიღება, რომ

¹ Теория доказательств в советском уголовном процессе. - Москва: Юр. литература, 1973.-С.367. См. также: ЛИСИЧЕНКО В.К., Перебиток Н.В. О регламентации в УПК познавательных основ предварительного следствия //Криминалистика и судебная экспертиза. - Киев: Лыбидь, 1991, вып.43. - С.21.

შემეცნება მუდავნდება ჭეშმარიტების მსოფლმხედველობისა და ჰუმანისტურობის ფუნქციების ერთიანობაში.²

ამრიგად, სისხლის სამართლის პროცესის შემეცნებითი ხასიათი წინასწარ განსაზღვრავს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, როგორც შემეცნების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის, გამოყენების შესაძლებლობას, არა მარტო პროცესუალური, არამედ აგრეთვე არაპროცესუალური ფორმების სახითაც. ამიტომ სისხლის სამართალწარმოებაში შეიძლება გამოყოფთ შემეცნებითი მოღვაწეობის ორი ფორმა და, მაშასადამე, სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ორი ფორმა მათი მტკიცებულებითი საფუძვლიანობის მიხედვით - პროცესუალური და არაპროცესუალური.³

ორივე ამ ფორმას ახორციელებენ პირები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ გარკვეული პროცესუალური რწმუნებულებანი ან გააჩნიათ დადგენილი პროცესუალური უფლებები და მოვალეობები. ამასთან პირველ შემთხვევაში, მეცნიერული მონაცემების გამოყენების მსვლელობისას, შესაძლებელია დადგეს რაიმე იურიდიულად მნიშვნელობის მქონე შედეგი. მეორეში კი ასეთი შედეგის დადგომა შეუძლებელია.

ასეთი კლასიფიკაცია წარმოადგენს მხოლოდ საკითხის გადაწყვეტისადმი მიღების თავისებურ ფორმას. მთავარი კი აქ იმაში მდგომარეობს, რომ შემუშავდეს შემეცნებითი მოღვაწეობის პროცესუალური და არაპროცესუალური ფორმების უფრო დეტალური კლასიფიკაცია.

სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და მეთოდების გამოყენების ფორმების გამიჯვნას იძლევიან მთელი რიგი შრომების ავტორები, მათ შორის სახელმძღვანელოების ავტორებიც. ამ ავტორებიდან ზოგიერთი ფორმების განსაზღვრისას კმაყოფილდებიან მარტოდენ იმ სუბიექტების ჩამოთვლით, რომლებსაც შეუძლიათ გამოიყენონ სისხლის სამართლის პროცესში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები. ასე, მაგალითად, ვ.კ. ლისიჩენკო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და მეთოდების გამოყენების ფორმებს მიაკუთვნებს: მათით სარგებლობას: а) გამომძიებლის და მომკვლევი პირის მიერ; б) სპეციალისტის მიერ საგამოძიებო მოქმედებათა შესრულების დროს; გ) ექსპერტ-კრიმინალისტის მიერ.⁴

ამასთან, სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების სფერო შემოსაზღვრულია წინასწარი გამოძიებით და მოკვლევით, თუმცა კანონმდებელი სპეციალურ ცოდნათა გამოყენებას სასამართლოშიც ითვალისწინებს. ამავე სახელმძღვანელოში სავსებით სწორად ხდება იმის დამტკიცება, რომ კრიმინალისტიკური მეთოდები თავის მოქმედებას ავრცელებენ აგრეთვე სასამართლო საქმიანობასა და სამძებრო მუშაობაზეც,⁵ რომელიც, როგორც ცნობილია, მიეკუთვნება ოპერატიულ საქმიანობას. შემდეგ ვ.კ. ლისიჩენკომ პირთა პირველ ჯგუფში ჩართო სასამართლოს შემადგენლობაც.⁶

ვ.ი. კოლდინი ასევე შემოფარგლავს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებას გამოძიების სტადიით და ასახელებს ორ ფორმას მათ

² КРЫМСКИЙ С.Б. Научное знание и принципы его трансформации. - Киев: Наукова думка, 974. - С.9-10.

³ См., например: ВАНДЕР М.Б. МАЛАНВИНА Н.И. Судебная микрология (криминалистический аспект). - Саратов: СГУ, 1988. - С. 14-20.

⁴ Советская криминалистика. Криминалистическая техника и следственная тактика /Под ред. В.П. Колмакова. - Киев: Вища школа, 1973. - С.24.

⁵ ბმდt იდ.5

⁶ ЛИСИЧЕНКО В.К. Использование данных естественных и технических наук в следственной и судебной практике. - Киев: КГУ, 1979. - С.21.

გამოყენებას საგამოძიებო მოქმედებათა პროცესში: გამომძიებელი, სპეციალისტი? და ექსპერტიზის მსვლელობაში: ექსპერტი?⁷

ტ.ა. სედოვას აზრით, კრიმინალისტიკური ტექნიკის გამოყენების უფლება აქვს აგრეთვე სასამართლოს,⁸ ხოლო ი.ვ. მარკოვი თვლის, რომ გამომძიებლის, სპეციალისტისა და ექსპერტის გარდა, კრიმინალისტიკური ტექნიკის საშუალებები და მეთოდები შეიძლება გამოყენებული იქნას ოპერატიული მუშაკების მიერაც.⁹ ვ.ნ. გერასიმოვს ფორმების კლასიფიკაციის საფუძველში ჩასმული ჰყავს აგრეთვე სუბიექტები, მაგრამ მასთან აღინიშნება აგრეთვე სხვა, მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით უფრო პრინციპიალური საფუძველი - სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების დახმარებით მიღებული შედეგების მტკიცებულებითი მნიშვნელობა. სუბიექტების ჩამონათვალში კი ის მოიხსენიებს აგრეთვე პროცესურორ-კრიმინალისტს.¹⁰

სამი საფუძვლის მიხედვით ახდენს კლასიფიკაციას ნ.ა. სელივანოვი. კერძოდ, იგი განასხვავებს კრიმინალისტიკური ტექნიკის საშუალებებისა და მეთოდების გამოყენების ფორმებს დანაშაულის გახსნისა და გამოძიების საქმიანობაში მონაწილეთა სამართლებრივი მდგომარეობისაგან დამოკიდებულად და სავსებით სწორად რთავს მათ რიცხვში გამომძიებელს, მომკვლევს, სპეციალისტს, ოპერატიულ მუშაკს, ექსპერტს, მოსამართლეს; მათი გამოყენების მიზნების მიხედვით ასახელებს მტკიცებულებების აღმოჩენას, ფიქსაციას, ამოღებას და გამოკვლევას; მათი გამოყენების შედეგების პროცესუალური მნიშვნელობის მიხედვით კი გამოყოფს მტკიცებულებათა უშუალო წყაროს, ექსპერტის აზრით გაშუალებული მტკიცებულების წყაროს და ისეთ მტკიცებულებათა წყაროს, რომლებსაც არა აქვთ მტკიცებულებითი მნიშვნელობა.¹¹

ზემოთ მოყვანილი სისტემა მთლიანობაში შეიძლება მიჩნეული აღიარებული იქნას დამაკმაყოფილებლად, მაგრამ მისი კონსტრუირების დროს ავტორმა, ჩვენი აზრით, დაუშვა უზუსტობანი, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება შემდეგში 5

ჯერ ერთი, არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ მტკიცებულებებთან დაკავშირებული იპერაციებით კრიმინალისტიკური ტექნიკის გამოყენებისას მისი მიზნებისაგან დამოკიდებულად, რადგან ხდება ისეთი ობიექტების აღმოჩენაც, დაფიქსირება, ამოღება და გამოკვლევაც, რომლებსაც არა აქვთ მტკიცებულებითი მნიშვნელობა :მაგალითად, ფოტოგრაფიული ფიქსაცია ოპერატიული ღონისძიების ჩატარებისას ან გამომძიებლის მიერ საგნის ინსტრუმენტალური შესწავლა არა საგამოძიებო მოქმედების შესრულებისას?. ამიტომ, ჩვენი აზრით, აქ მსჯელობა უნდა ყოფილიყო საერთოდ ინფორმაციის შესახებ, რომელიც გვეხმარება სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების შეცნობაში.

მეორედ მართლაც კრიმინალისტიკური ტექნიკის გამოყენების შედეგებს აქვთ სხვადასხვა პროცესუალური მნიშვნელობა მისი გამოყენების მსვლელობის იურიდიული პირობებისაგან დამოკიდებულების მიხედვით, სახელდობრ5 რიგ შემთხვევებში ისინი შეიძლება იყვნენ მტკიცებულებათა წყარო, სხვა შემთხვევებში -

⁷ Криминалистика /Под ред. А.Н. Васильева. - Москва: МГУ, 1971.-С.25.

⁸ Криминалистика /Под ред. И.Ф.Крылова. - Ленинград: ЛГУ, 1976.-С.41.

⁹ Криминалистика /Под ред. Р.С. Белкина и Г.Г. Зуйкова. - Москва: Юр. литература, 1968.- С.36. См. также: ГРЕБЕЛЬСКИЙ Д.В. Некоторые вопросы применения криминалистических и иных научно-технических средств в оперативно-розыскной деятельности //Труды ВНИИСЭ. - Москва, 1973, вып.7.-С.240.

¹⁰ ГЕРАСИМОВ В.Н. Применения средств и методов криминалистической инфракрасной техники в расследовании преступлений: Автoref. дисс...канд.юрид.наук. - Москва, 1975.-С.6. Криминалистика Под ред. проф. Р.С.Белкина, М., 2000г 1f с [d8]

¹¹ Криминалистика /под ред. С.П. Митричева, Н.А. Селиванова, М.П. Шаламова. - Москва: Юр. литература, 1973. - С.25-26.

არა. ამიტომ, ცნებების შემოღებას - მტკიცებულებების უშუალო წყაროს შესახებ და ექსპერტის აზრით გაშუალებული მტკიცებულებების წყაროს შესახებ - არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც მტკიცებულებათა თეორიისა და სისხლის სამართლის პროცესუალური კანონის თვალსაზრისით მტკიცებულებათა ყველა წყაროებს აქვთ ერთნაირი პროცესუალური მნიშვნელობა - მიეცეს მტკიცების სუბიექტებს შესაძლებლობა, რომ მოკრიბონ მათგან ცნობები ფაქტების შესახებ. ამ აზრით, ნივთიერი მტკიცებულების დათვალიერების ოქმს, მაგალითად, ისეთივე მტკიცებულებითი ძალა აქვს, როგორც ექსპერტის დასკვნას.

ამასთან დაკავშირებით მართებულადაა მითითებული სპეციალურ იურიდიულ ლიტერატურაში, რომ ნ.ა. სელივანოვის მიერ დასახელებულ მტკიცებულებათა წყაროს, რომლებსაც ვარ გააჩნიათ მტკიცებულებითი მნიშვნელობა⁴, თუ აյ იგულისხმება არაპროცესუალური წყაროები, ისინი საერთოდ არ შეიძლება წოდებული იქნენ მტკიცებულებათა წყაროდ, რამდენადაც ამ უკანასკნელთ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ დასაშვებობის ნიშნები, ხოლო თუ იგი ეხება კანონით გათვალისწინებულ წყაროებს, მაშინ მათ ყოველთვის ექნებათ მტკიცებულებითი მნიშვნელობა, თუნდაც მათში არ არსებობდეს საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებითი ინფორმაცია. მოცემულ შემთხვევაში ასეთი წყაროები არ გამოიყენებიან მტკიცების პროცესში, თუმცა, რომ ისინი საქმეში იყოს მოთავსებული.¹²

ცხადია, განხილული მოსაზრების მიხედვით მსჯელობა შესაძლებელია ინფორმაციაზე, რომელიც მიიღება კანონით გაუთვალისწინებელი წყაროებიდან, ე.ი. რომლებსაც არა აქვთ დასაშვებობის ნიშნები.

შემდგომ ნ.ა. სელივანოვი პროცესუალური მნიშვნელობისაგან დამოკიდებულებით გამოჰყოფს ოპერატიულ და მტკიცებულებით ფორმებს.¹³

ლიტერატურაში გვხვდება ორიგინალური და ცნობილ პოზიტივებს არ მოკლებული შეხედულებები სამართალწარმოებაში სპეციალურ ცოდნათა და სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ფორმების შესახებ, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ უფრო ღრმად და საფუძვლიანად გადავწყვიტოთ მოცემული საკითხი.

მაგალითად, ი.კ. ორლოვი ყურადღებას აქცევს სასამართლო ექსპერტიზის გარკვეულ შეფარდებულობას რევიზიასთან, საუწყებო :არასასამართლო? ექსპერტიზასთან, საუწყებო გამოკვლევასთან, საცნობარო საქმიანობასთან, საგამოძიებო მოქმედებათა წარმოებაში სპეციალისტის მონაწილეობასთან;¹⁴

ვ.ნ. მახოვი რეანიმაციას უკეთებს წინადადებას, რომ შემოღებული იქნას გაცნობიერებულ პირთა - გაცნობიერებულ მოწმეთა¹⁵ ცოდნათა გამოყენების ფორმები. ამასთან იგი იცავს, ჩვენი აზრით, არასწორ მოსაზრებას, რომელიც უარყოფს გამომძიებლის მიერ სპეციალურ ცოდნათა დამოუკიდებლად გამოყენების შესაძლებლობას.¹⁶

¹² Элькинд П.С. 1fcf[8 yfih8 ud825-26; БЕЛКИН Р.С., Винберг А.И. Криминалистика и доказывание. - Москва: Юр. литература, 1969. - С.182-200; ЛУЗГИН И.М. Расследование как процесс познания: Автореф. дисс...доктора юрид. наук. - Москва, 1968.-С.16; Теория доказательств в советском уголовном процессе.-Москва: Юр. литература, 1973. - С.246-256;

¹³ Советская криминалистика. Теоретические проблемы. - Москва: Юр. литература, 1978. - С.125-128;

¹⁴ ОРЛОВ Ю.К. производство Экспертизы в уголовном процессе. - Москва: ВЮЗИ, 1982. - С.20-24;

¹⁵ МАХОВ В.Н. О необходимости новой Формы использования знаний сведущих лиц - сведущем свидетеле //Проблемы совершенствования расследования и профилактики преступлений на современном этапе. - Уфа: БашГУ, 1990. -С.62.

¹⁶ Махов В.Н. Использование знаний сведущих лиц при расследовании преступлений. - Москва: Ун-т дружбы народов, 2000. - С.74.

ა.ვ. დულოვი, ხოლო შემდეგ გ.ი. გრამოვიჩი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების ფორმების შესახებ საკითხს იხილავს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა სარგებლობის თვალთახედვით და მათ მიაკუთვნებენ გამომძიებელს, სპეციალისტს, საგამოძიებო განყოფილების უფროსს, პროკურორ-კრიმინალისტს, ექსპერტს, სასამართლოს,¹⁷ რაც გარკვეულ შეკამათებას იწვევს, რადგან ასეთი სახით პროკურორ-კრიმინალისტი არ შეიძლება ცნობილი იქნენ პროცესუალურ ფიგურად.

ვ.დ. არსენევი და ა.რ. ბელკინი პირთა წრეს, რომლებიც იყენებენ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, აიგივებენ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცების სუბიექტთა წრესთან,¹⁸ ა.რ. ბელკინი კი მათ ჰყოფს ორ ჯგუფად პირები, რომლებიც ვალდებული არიან მიიღონ მონაწილეობა მტკიცებაში, და პირები, რომლებსაც აქვთ ამის უფლება.¹⁹

ჩვენი აზრით, სისხლის სამართალწარმოებაში საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მონაცემების გამოყენების ფორმების გამიჯვნის მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს მათი გამოყენების შედეგების მტკიცებულებითი მნიშვნელობა, რადგან მტკიცება შეადგენს სისხლის სამართლის პროცესის მთავარ არსს, და თვითეული ფორმის ადგილის, მნიშვნელობისა და შინაარსის მკაფიოდ განსაზღვრას პირველხარისხოვანი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე მხოლოდ ამ საფუძვლით გამიჯვნა არ გვაძლევს ფორმების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის საშუალებას, რმდენადაც არასაკამარისად მიიღება მხედველობაში ასეთი საქმიანობის ხასიათი და პირობები, სისხლის სამართლის საქმეებზე შემეცნების :და მტკიცების? ცალკეულ სუბიექტთა სამართლებრივი რწმუნებულებანი. კლასიფიკაციაში სავალდებულოდ უნდა იქნენ წარმოდგენილნი არაპროცესუალური ფორმებიც, ვინაიდან მათი დახმარებით შესაძლოა პირდაპირ განხორციელდეს საქმეებზე ობიექტური ჭეშმარიტების შეცნობა. მათ ასევე შეუძლიათ ხელი შეუწყონ ამა თუ იმ ზომით მტკიცებას და ზოგიერთ შემთხვევაში კიდევაც უზრუნველყონ იგი. ამიტომ, როდესაც მსჯელობა მიდის სისხლის სამართალწარმოებაში სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებაზე, რამდენადმე ფართოვდება 3 სამართალწარმოების ცნების გაგების ჩარჩოები.

იდენტიფიკაციის ამოცანებთან მიმართებაში ვ.პ. კოლმაკოვი ასეთნაირად მიუდგა ფორმების გამიჯვნას, მან გამოჰყო სამი ფორმა5 საგამოძიებო-სასამართლო, ოპერატიული და საექსპერტო.²⁰ მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, ეს კლასიფიკაციაც საჭიროებს დაზუსტებებს. პირველ რიგში, საჭიროა გამოიყოს სისხლის სამართლის საქმეებზე შემეცნების პროცესში მეცნიერული მონაცემების გამოყენების ფორმა, რომელიც განსხვავებულია პროცესუალური რეგლამენტაციის უქონლობით და შედეგების იურიდიული განურჩევლობით, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ, თუ ვისარგებლებთ ვ.პ. ლისიჩენკოს მიერ შემოთავაზებული ტერმინით, პირადი :პიროვნული? შესწავლა.²¹ ეს ტერმინი ხაზს უსვამს მოცემული ფორმის არაპროცესუალურ ხასიათს, მათი გამოყენების მსვლელობისას მიღებული შედეგების შეზღუდულობას. გარდა ამისა, არსებობს საფუძველი იმისათვის, რომ საგამოძიებო-

¹⁷ Грамович Г.И. Назв.Работа. - С. 170.

¹⁸ Арсеньев В.Д. О понятии и круге субъектов доказывания по уголовным делам //Теория и практика установления истины в правоприменительной деятельности. - Иркутск: ИрГУ, 1985.-С.27.

¹⁹ БЕЛКИН А.Р. Теория доказывания. - Москва. Норма, 1999.-С.24.

²⁰ КОЛМАКОВ В.П. Идентификационные действия следователя. - Москва: юр. литература, 1977 - С.23;

²¹ ЛИСИЧЕНКО В.К. Криминалистическое исследование документов (правовые и методологические проблемы): Автореф. дис...доктора юрид. наук.- Киев, 1974.-С.46.

სასამართლო ფორმები განცალკევებული იქნას ორ დამოუკიდებელ ფორმებად, რამდენადაც სასამართლოსწინა გამოძიებას :მოკვლევა? და სასამართლო გამოძიებას მრავალი პროცესუალური, ტაქტიკური და ორგანიზაციული ხასიათის თავისებურებანი გააჩნიათ, რომლებიც მოითხოვენ საკითხის დამოუკიდებლად შესწავლას ამ სტადიებში მეცნიერული მონაცემების გამოყენების შესახებაც.

ამრიგად, ჩვენ წინადადებით შემოვდივართ, რომ სისხლის სამართალწარმოებაში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების ფორმები კლასიფიცირებული იქნას პროცესუალურებად, რომლებსაც მივაკუთვნებთ საგამოძიებო, სასამართლო და საექსპერტო შესწავლას და არაპროცესუალურებად - ოპერატიულ და პირად შესწავლას.

სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების სუბიექტების შესახებ საკითხების გადაწყვეტისას უნდა ამოვდიოდეთ არა მარტო სისხლის სამართალწარმოების მონაწილეთა მტკიცებულებითი ფუნქციებიდან, არამედ აგრეთვე შემეცნებითი ფუნქციებიდანაც, რადგან სხვაგვარად ამ მონაცემების გამომყენებელ პირებს ვერ მიეკუთვნებიან სპეციალისტები და ექსპერტები, რომლებიც, როგორც ცნობილია, არ წარმოადგენენ მტკიცების სუბიექტებს.²²

ამ პირთა წრეში ჩართული უნდა იქნან აგრეთვე მტკიცების ყველა სუბიექტები - როგორც საქმეზე პასუხისმგებელი ორგანოები, ისე პირები და ორგანოები საკუთარი კანონიერი ინტერესებით, რამდენადაც ყველა ისინი, თუმცა სხვადასხვა ხარისხით, ხელს უწყობენ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, როდესაც განიხილავენ და შეფასებას აძლევენ ბრალდების მტკიცებულობას. დემოკრატიისა და უფლებათა დაცვის განვითარების დონე, კოლეგიალობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები ხაზს უსვამეს და უზრუნველყოფების სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოკვლევაში მტკიცების ყველა სუბიექტების უფრო აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას, მათ შორის იმ მეთოდების დახმარებითაც, რომლებიც ეფუძნება საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მონაცემების გამოყენებას. უპრიანია აღინიშნოს, რომ მტკიცების სხვა სუბიექტების :გარდა საქმეზე პასუხისმგებებისა? საქმიანობა მტკიცებულებათა გამოკვლევაში გათვალისწინებულია აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობით. ბრალდებულს, ეჭვმიტანილს, ბრალმდებელს, დამცველს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩევეს, სამოქალაქო მოპასუხეს და სხვებს შეუძლიათ გაეცნონ საქმის მასალებს, გამოიკვლიონ მტკიცებულებანი, სასამართლო განხილვის ყველა მონაწილეს აქვთ თანაბარი უფლებები მტკიცებულებათა გამოკვლევაში, პროცესის მონაწილეებს ასევე აქვთ განსაზღვრული უფლებები ექსპერტიზის დანიშვნისას, ეცნობიან მის შედეგებს. დასახელებულ პირებს ყველა შემთხვევაში შეუძლიათ გამომძიებლის ან სასამართლოს საერთო კონტროლის ქვეშ გამოიყენონ საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მონაცემები, ძირითადად, სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების სახით. ამასთან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ამ პირთა შენიშვნები აუცილებლად უნდა იქნან შეტანილი საგამოძიებო მოქმედებათა ან სასამართლო სხდომის ოქმებში.

ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის პროცესში საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მეთოდების გამოყენების სუბიექტებად ცნობილი უნდა იქნენ ორგანოები და პირები, რომლებიც

²² КОЛДИН В.Я. Идентификация и её роль в установлении истины по уголовным делам. Москва: МГУ, 1969. - С. 104; КОЛЬМАКОВ В.П. Идентификационные действия следователя. - Москва: юр. литература, 1977 - С.23; Теория доказательств в советском уголовном процессе. - Москва: Юр. литература, 1973. -С.495.

პასუხისმგებელნი არიან საქმეზე :მოკვლევის ორგანოები; მოკვლევის მწარმოებელი პირები; გამომძიებელი; საგამოძიებო განყოფილების უფროსი; პროკურორი სისხლის სამართლის საქმის აღმდენის და წინასწარი გამოძიების სტადიაში, მათ შორის პროკურორი-კრიმინალისტი; სასამართლო?, პირები, რომელთა მოღვაწეობა საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მონაცემების გამოყენების გარეშე საერთოდ წარმოუდგენელია, რასთან დაკავშირებითაც მათ კანონით ეძლევათ ასეთი უფლება :სპეციალისტი, ექსპერტი?, აგრეთვე პირები და ორგანოები საკუთარი :წარმოდგენილი? კანონიერი ინტერესით :პროკურორი სასამართლოში, დაზარალებული, დაზარალებულის წარმომადგენელი, სამოქალაქო მოსარჩევე, სამოქალაქო მოსარჩელეს წარმომადგენელი, ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, დამცველი, ბრალდებულის ან განსასჯელის კანონიერი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხე, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი?.²³

ბუნებრივია, ყოველ დასახელებულ სუბიექტს შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ მისთვის მიცემულ უფლებათა ფარგლებში და შეასრულოს მისთვის მინიჭებული პროცესუალური ფუნქციები.

ამრიგად, სისხლის სამართალწარმოებაში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და ხერხები შეუძლიათ გამოიყენონ პირთა დიდ ჯგუფს, რომელთაგან ნაწილს ამაზე გააჩნია პირდაპირი რწმუნებულება კანონით, ხოლო დანარჩენებს - აქვთ კანონით მინიჭებული შესაძლებლობა ამისათვის, რისი რეალიზებაც მათ შეუძლიათ შუამდგომლობის გზით - საგამოძიებო მოქმედებებში მათი მონაწილეობით ნებისმიერი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალების გამოყენების თაობაზე, აგრეთვე სასამართლო სხდომის მსვლელობის დროსაც.²⁴ ამასთან დაკავშირებით, არაზუსტად გვეჩვენება გ.ი. გრამოვიჩის მტკიცება იმის თაობაზე, რომ სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები პრინციპიალურად შეიძლება გამოყენებული იქნან მხოლოდ იმ პირების მიერ, რომლებსაც კანონით აქვთ მიცემული ამის რწმუნებულება.²⁵

სისხლის სამართალწარმოებაში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების ფორმათა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე პროცესუალური და არაპროცესუალური ფორმები.

სტატია მიღებულია: 2004-06-09

²³ Теория доказательств в советском уголовном процессе. - Москва: Юр. литература, 1973.-С.495; АРСЕНЬЕВ В.Д. 1fcfcf[8 yfih8 ud8 27 - 28.

²⁴ КОРНИЕНКО Н. Использование криминалистической техники в расследовании //Соц. законность, 1970, №8.-С.70.

²⁵ ГРАМОВИЧ Г.И. Вопросы применения научно-технических средств при расследовании преступлений: автореф. дисс...канд. юрид. наук - Минск,1970. - С.5.